შპს "საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი"

LTD "THE SCIENTIFIC CENTER OF ENGINEERING BUILDING DESIGNING RESEARCH AND EXPERTISE"

tel: 577588218 599179823; (032) 2227704

18.03.2026.2026-155

vamtkiceb,

direqtori:

_____ ***demuri tabataZe***



ექსპერტიზის დასკვნა

ექსპერტიზის ობიექტი: . ქ. თბილისი პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13 (ს/კ 01.10.06.022.011) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შენობა №7-ის მშენებლობის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე კოდებით. (ს/კ 01.10.06.022.011) კორპუსი № 6 შეთანხმების სტადია, (01.10.06.022.009) კორპუსი № 7 (ს/კ 01.10.06.022.012) (ს/კ 01.10.06.022.263) (ს/კ 01.10.06.001.154) (ს/კ 01.10.06.001.144) (ს/კ 01.10.06.001.172) (ს/კ 01.10.06.001.299) მომიჯნავე გზა (ს/კ 01.10.06.022.001)სავარაუდო გავლენის შესაძლელობის დადგენის შესახებ ,

დაწყებულია: 15 თებერვალი 2026 წელი

დასრულებულია: 25 მარტი 2026 წელი

ექსპერტიზის დასკვნა

-

ექსპერტიზის ობიექტი: . ქ ქ. თბილისი პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13 (ს/კ 01.10.06.022.011) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შენობა №7-ის მშენებლობის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე კოდებით. (ს/კ 01.10.06.022.011) კორპუსი № 6 შეთანხმების სტადია, (01.10.06.022.009) კორპუსი № 7 (ს/კ 01.10.06.022.012) (ს/კ 01.10.06.022.263) (ს/კ 01.10.06.001.154) (ს/კ 01.10.06.001.144) (ს/კ 01.10.06.001.172) (ს/კ 01.10.06.001.299) მომიჯნავე გზა (ს/კ 01.10.06.022.001)სავარაუდო გავლენის შესაძლელობის დადგენის შესახებ , საექსპერტო დასკვნა

თბილისი

2026 წელი



შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელები- 3
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები- - - - - - - - - - - - - - - 3
3. გამოყენებული ხელსაწყოები- 4
4. კვლევითი ნაწილი- 5
5. დასკვნა- 24

ინსპექტირების შემსრულებლები

ექსპერტი: დ.ტაბატაძე

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის31მაისის№255დადგენილება „გაცემის წესისა და სანებართვო პირობეების შესახებ“;
2. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ 3.საქართველოს მთვარობის №71 დადგენილება –„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:

- ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
- ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
- ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
- ტექნიკური რეგლამენტი – „წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები“ (დანართი 4);
- ტექნიკური რეგლამენტი – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5);

4.СНиП II - 23-81 „Стальные конструкции“; СНиП II 21 - 75 „приложение 5“.

წარმოდგენილი მასალები



ექსპერტიზის ობიექტი: . ქ. თბილისი პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13 (ს/კ 01.10.06.022.011) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შენობა №7-ის ასაშენებელი მაღლივი მრავალბინიანი შენობის მშენებლობის კონსტრუქციული ნაწილის და არქიტექტურული ნაწილის – ელ-ვერსია;

ექსპერტიზის ობიექტი: . ქ. თბილისი პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13 (ს/კ 01.10.06.022.011) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შენობა №7-ის, ასაშენებელი მაღლივი მრავალბინიანი მშენებლობისათვის, გამოყოფილი სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში – ელ.ვერსია.

4. მომიჯნავე შენობების მონაცემები



საპროექტო ტერიტორია



o

კვლევითი ნაწილი

შესავალი

ექსპერტის ამოცანას წარმოადგენს:დამკვეთის მიერ წარმოდგენილი, . ქ. თბილისი პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13 (ს/კ 01.10.06.022.011) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შენობა №7-ის მშენებლობის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე კოდებით. (ს/კ 01.10.06.022.011) კორპუსი № 6 შეთანხმების სტადია, (01.10.06.022.009) კორპუსი № 7, (ს/კ 01.10.06.022.012) (ს/კ 01.10.06.022.263) (ს/კ 01.10.06.001.154) (ს/კ 01.10.06.001.144) (ს/კ 01.10.06.001.172) (ს/კ 01.10.06.001.299) მომიჯნავე გზა (ს/კ 01.10.06.022.001) სავარაუდო გავლენის შესაძლელობის დადგენის შესახებ , საექსპერტო დასკვნა - **და** ნორმატიულ ლიტერატურაში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

კვლევა.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისი პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13 (ს/კ 01.10.06.022.011) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შენობა №7-ის მაღლივი შენობის. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია გიორგი ყალაბეგაშვილის მიერ. ექსპერტიზაზე წარმოდგენილია მრავალბინიანი, 25-სართულიანი (მათ შორის ორი მიწისქვეშა სართულით) საცხოვრებელი შენობა. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები 45.7×57.6 მ-ია („ა/1-ზ“ „11-1“ ღერძებში). შენობა აერთიანებს ერთ მაღლივ და სამ მიწისქვეშა 2-სართულიან ბლოკს: მაღლივი შენობა – მართკუთხა, ღერძებს შორის მაქსიმალური გაბარიტული ზომები 17.5×52.0 მ-ია („ა-დ“ „1-9“ ღერძებში), პარკინგის ბლოკები სამივე მართკუთხა მოხაზულობით მაქსიმალური გაბარიტული ზომები 13.6×57.6 მ-ია („ა/1-ა/3“ „11-1“ ღერძებში), 12.6×57.6 მ-ია („ე-ზ“ „11-1“ ღერძებში) და 13.6×4.6 მ-ია („ა-დ“ „10-11“ ღერძებში). საპარკინგე ბლოკების მაქსიმალური კონსტრუქციული სიმაღლე 6.65, რომელიც სრულად მიწისქვეშ არის განთავსებული -6.75 (საძირკვლის ფილის ძირის ნიშნული) -0.45 ნიშნულამდე; სართულების სიმაღლე -II სართული – 3.0 მ და -I სართული 2.9 მ. მაღლივი შენობის მაქსიმალური კონსტრუქციული სიმაღლე 90.15 მ-ია, აქედან ±0.00 ნიშნულის ქვემოთ განთავსებულია 7.55 მ (საძირკვლის ფილის ძირის ნიშნული), ხოლო უმაღლესი ნიშნული +82.6 მ-ია. შენობის სართულების სიმაღლე – -II სართული – 3.0 მ და -I სართული 3.35 მ, მიწისპირა სართულებზე (±0.00 ნიშნულზე): 6.0 მ, ტიპიური სართულები: 3.5 მ, ბოლო სართული (+75.30 ნიშნული) 4.5 მ და სახურავზე ასასვლელი 2.8 მ (ლიფტის სამანქანოს გადახურვა). მიწისქვეშა და მიწისზედა სართულების დამაკავშირებლად გათვალისწინებულია 2 მონოლითური რკინაბეტონის ორმარშიანი კიბის უჯრედი და ლიფტები. კიბე-1 განთავსებულია „ა“ და „7“ ღერძების კვეთაზე. იგი აკავშირებს ყველა მიწისქვეშა და მიწისზედა სართულებს და

სრულდება შენობის სახურავზე; კიბე-2 – „4“ და „ბ“ ღერძების კვეთაზე. იგი ერთმანეთს უკავშირებს მიწისქვეშა და მიწისზედა სართულებს +75.30 მ ნიშნულის ჩათვლით. შენობის მიწისქვეშა სართულზე მოსახვედრად „ა/3-ე“ და „8-9“ ღერძებში ღერძებში მოწყობილია სამანქანო პანდუსი -6.35 და -3.35 ნიშნულებზე, სიგანით 7.1 მ. შენობა-ნაგებობები გამოყოფილია ერთმანეთისაგან სეისმური ნაკერით.

შენობის გადახურვა ბრტყელია და შესრულებულია რკინაბეტონის ფილის საშუალებით, მოწყობის შესაბამისი ტექნოლოგიით.

შენობის საძირკვლის ფილის თავი (მონოლითური ფილა) მდებარეობს -6.35 მ (482.25 აბსოლუტური ნიშნული) ნიშნულზე. მისი სიმაღლეა მაღლივი შენობის შემთხვევაში h=1.2 მ-ია, მიწისქვეშა ორსართულიანი საპარკინგე ბლოკების შემთხვევაში h=400 მმ მის ქვეშ მოწყობილია 800 მმ-იანი ღორღის დატკეპნილი ბალასტის ფენა. ქვაბულის ძირი განთავსებულია -7.55 მ-ზე, ხოლო ±0.00 ნიშნული შეესაბამება 488.60 მ აბსოლუტურ ნიშნულს.

შენობის საძირკვლის ტიპი და ჩაღრმავება განსაზღვრულია ობიექტის განთავსების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე (იხ. ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში შესრულებული შპს „თბილინვესტპროექტი“-ს მიერ, ინჟინერ-გეოლოგი თ. ხევცურიანი, 2024 წელი). მაღლივი შენობის საძირკველს წარმოადგენს ხიმინჯებისა და რკინაბეტონის 1200 მმ სისქის საძირკვლის ფილას, რომლიც დაფუძნებულია V სგე – ძირითადი ქანები (ფენა 5) ქვიშაქვები და არგელიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო. R_c=8.6 მპა, სიმკვრივე p=2.42 გ/სმ^3, პუასონის კოეფიციენტი μ=0.20, დეფორმაციის მოდული E=2000 მპა. საპარკინგე მიწისქვეშა ორისართულიანი შენობებისათვის – საძირკვლის ფილა სისქით h=400 მმ, იგი დაფუძნებულია 800 მმ სისქის ღორღის დატკეპნილ ფენაზე I სგე – ძირითადი ქანები (ფენა 1) ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და ხვინჭის ჩანართებით, შემკვრივებული *(აღებულია გეოლოგიური ჭრილიდან აბსოლუტური ნიშნულის შესაბამისად)*: R_0=1.5 კგძ/სმ^2, სიმკვრივე p=1.72 გ/სმ^3, პუასონის კოეფიციენტი μ=0.42, დეფორმაციის მოდული E=110 კგძ/სმ^2, შიგა ხახუნის კუთხე φ=24°, ხვედრითი შეჭიდულობა c=0.16 კგძ/სმ^2.

სამშენებლო მოედნისათვის მიღებულია:

- თოვლის ნორმატიული დატვირთვა – 50 კგ/მ^2;
- ქარის ნორმატიული ჩქაროსნული დატვირთვა – 60 კგ/მ^2;
- რაიონის, მოედნის და შენობა ნაგებობის საანგარიშო სეისმურობა – 8 ბალი (სეისმური უგანზომილებო კოეფიციენტი A-0.17g).

კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია როგორც რკინაბეტონის ჩარჩოკავშირებიანი კარკასული სისტემა, კომბინირებულ საძირკველზე. შენობის მზიდი კარკასი წარმოადგენს საძირკვლის, მონოლითური კედლების, სვეტების, გადახურვის ფილებისა და რიგელების ერთიანობას, რომელთა ზომები და დაარმატურება მიღებულია კონსტრუქციული გაანგარიშების მიხედვით და ნორმატიულ დოკუმენტებში მიღებულ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მაღლივი შენობისათვის:

- ხიმინჯები – ხიმინჯის დიამეტრი Ø1500 მმ და Ø1200 მმ მაქსიმალური სიგრძით (ჩაღრმავებით) 18-25 მ, ძირითად ქანში 4.0 მ ჩაანკერებით. გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A240 Ø8, A500c Ø16 და Ø20 მმ მუშა არმატურა, ლითონის სალტე 6×100 მმ, ბეტონი B30 W8;
- საძირკვლის ფილა – h=1200 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A240 Ø8, A500c Ø10, Ø12, Ø14, Ø16 და Ø20 მმ მუშა არმატურა, ბეტონი B30 და B7.5, ქვიშა-ხრეში;
- კედლები (დიაფრაგმები) – სისქით h=300 მმ და 200 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A240 Ø8, A500c Ø10, Ø12, Ø14, Ø16, Ø20 და Ø25 მმ მუშა არმატურა, ბეტონი B30;
- სვეტები – 1500×500 მმ, 1400×500 მმ, 1200×500 მმ, 1000×500 მმ და 800×500 მმ, სვეტების კვეთი მცირდება ქვემოდან ზემოთ მიმართულებით. გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A240 Ø8, A500c Ø20 და Ø25 მმ მუშა არმატურა, ბეტონი B30;
- გადახურვის ფილები და რიგელები – ფილა სისქით h=200 მმ, რიგელები 500×500 მმ და 500×200 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A240 Ø8, A500c Ø10, Ø12, Ø16 და Ø20 მმ მუშა არმატურა, ბეტონი B30;
- კიბე – კიბის მარშებისა და ბაქნებისათვის h=200 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A240 Ø8, A500c Ø10 და Ø12 მმ მუშა არმატურა, ბეტონი B30;
- პანდუსი – ფილის სისქე 200 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A240 Ø8 და A500c Ø14, Ø16 და Ø25 მმ მუშა არმატურა, ბეტონი B30.

ორსართულიანი მიწისქვეშა ბლოკებისათვის:

- საძირკვლის ფილა – h=400 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A240 Ø8, A500c Ø10, Ø12, Ø14, Ø16 და Ø20 მმ მუშა არმატურა, ბეტონი B30 და B7.5, ქვიშა-ხრეში;

- პერიმეტრის კედლები – სისქით *h*=300 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A240 Ø8, A500c Ø10, Ø12, Ø14 და Ø16 მმ მუშა არმატურა, ბეტონი B30;
- სვეტები – 800×300 მმ და 500×500 მმ. გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A240 Ø8, A500c Ø20 და Ø25 მმ მუშა არმატურა, ბეტონი B30;
- გადახურვის ფილები და რიგელები – ფილა სისქით *h*=200 მმ, რიგელები 500×500 მმ, გამოყენებულია რკინაბეტონის კონსტრუქციში: A240 Ø8, A500c Ø10, Ø12, Ø16 და Ø20 მმ მუშა არმატურა, ბეტონი B30.

შენობის რკინაბეტონის ელემენტებში გამოყენებულია არმატურა A240c და A500c მითითებულია, რომ შესაძლებელია შეიცვალოს B500B ბეტონი კლასით, ბეტონის მომზადებისათვის B7.5, ხიმინჯებისათვის B30 W8, ხოლო დანარჩენი კონსტრუქციებისათვის B30.



საპროექტო ტერიტორია ს.კ. (ს/კ 01.10.06.022.011) კორპუსი № 6 შეთანხმების სტადია (01.10.06.022.009) კორპუსი № 7 (ს/კ 01.10.06.022.012) (ს/კ 01.10.06.022.263)

(ს/კ01.10.06.001.154) (ს/კ 01.10.06.001.144) (ს/კ 01.10.06.001.172) (ს/კ 01.10.06.001.299) მომიჯნავე გზა (ს/კ 01.10.06.022.001)

საპროექტო ტერიტორია

ჩემს მიერ ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა აღნიშნულ მისამართზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების მიზანშეწონილობას, ამასთან გადამოწმდა 20 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა (ვიზუალური კვლევა)





მომიჯნავე (01.10.06.022.009) კორპუსი № 7 1.

ხელშეკრულების თანახმად საჭიროა განისაზღვროს მშენებარე შენობის გავლენა მეზობელ შენობებზე. დადგინდეს, თუ რამდენად უნდა იყოს დაცილებული მშენებარე საძირკველი არსებული შენობების საძირკვლისგან მისი მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.



ნახ.1ჩაღრმავება არსებულ საძირკველთან

1არსებულისაძირკველი, 2 საპროექტოსაძირკველი

აღნიშნულიშენობის და მიმდებარე შენობების საძირკვლებს შორის მანძილი ნორმებით გამოითვლება ფორმულით:

$$a \geq \frac{\Delta h}{tg\varphi_1+\frac{c_1}{p}}. \qquad (1)$$

. სადაც:α-საძირკვლებს შორის მანძილია; φ1,c1-ფუძე- გრუნტების შიგა ხახუნისკუთხისა და შეჭიდულობის ძალის საანგარიშო მნიშვნელობებია; პ-ზედასაძირკვლის ძირზე საშუალო საანგარიშო დატვირთვაა. =2.20კგძ/სმ2.

ამგვარად საძირკვლებს შორის დასაშვები მინიმალური მანძილის გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ ფორმულა(1):

$$a \geq \frac{\Delta h}{tg\varphi_1+\frac{c_1}{p}} \quad 1.$$

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:დაფუძნების პირობები:

ადგილზე ჩატარებული გეოლოგიური კვლევებიდან გამომდინარე და კონსტრუქციული გადაწყვეტილებების მიხედვით, შენობების საძირკვლად გამოყენებულია საძირკვლის ფილა,რომელიც ჯდება ფენა №5(არგილიტებისდა ქვიშაქვების თხელშრეებრივი მორიგეობა სუსტად გამოფიტული). ძირითადი ქანის მახასიათებლებია : სიმკვრივე : 2.1 გ/სმ3; საანგარიშო წინაღობა 450 კპა, პუასონის კოეფიციენტი 0.27, შიგა ხახუნის კუთხე 33 გრადუსი, დეფორმაციის მოდული 39 მპა

საკვლევ უბანზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა, ან პროცესი არ ფიქსირდება. სამშენებლო მოედანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია. საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო უბანი მიეკუთვნება II - საშუალო სირთულის კატეგორიას.

ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუქისა 8 (რვა) ბალია. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17. სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას [1]

საპროექტო და მომჯნავე შენობებისათვის საძირკვლებს შორის დასაშვები მინიმალური მანძილი იქნება: საპროექტო საძირკვლის ჩაღრმავება -13.30 მეტრი

$$a \geq \frac{\Delta h}{tg\varphi_1+\frac{c_1}{p}}=\frac{6.5}{tg33+\frac{02}{.2.5}}=8.91$$მეტრი

შესაბამისად, ნებისმიერი მომიჯნავე შენობა, რომელიც დაშორებულია მშენებარე შენობის საძირკვლიდან 8.91 მეტრით მეტად, მშენებარე შენობის როგორც ნულოვანი ისე შემდგომი სამუშაოები არ ახდენს მომიჯნავე შენობებზე გავლენას. ეს დასკვნა სამართლიანია მაშინ როდესაც შენობის დაფუძნება ხდება -6.5 მეტრ ნიშნულზე განვითარებულ გრუნტზე. ხოლო მომიჯნავეები მიწის ზედაპირზე. არსებული შენობის და მშენებარე შენობის საძირკვლებს შორის მანძილი-ჰორიზონტალურ ჭრილში გამოთვლილია ნორმებით პირობა კმაყოფილდება

საპროექტო (ს.კ.01.10.06.022.011) კორპუსი № 7 მაღლივი შენობის საძირკველს წარმოადგენსრკინაბეტონის 150 და 120 სმ დიამეტრის ხიმინჯები, რომლის ძირებიც მინიმუმ 4 მეტრითჩაანკერებულია კლდოვან ქანში – სგე 5 (ქვიშაქვებისა და არგელიტების მორიგეობა) და ნიშნულზე-6.5 მეტრი მთლიანი როსტვერკის რკინაბეტონის მონოლითური ფილა (ფილის სისქე =120.0 სმ).

აღნიშნულიდან გამომდინარე ნორმების თანახმად მშენებარე შენობის ნულოვანი ნიშნულის სამუშაოები და შემდგომი სამუშაოები არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობებზე და ცარიელი მიწის ნაკვეთებზე. და გზაზე

სხვა საკითხია ქვაბულის გვერდების მდგრადობა. მიწის სამუშაოების უსაფრთხო შესრულებისათვის უნდა შესრულდეს ქვაბულის ჩაჭრა ბუნებრივი ქანობით ქვაბულის მოწყობის სათანადო პროექტის მიხედვით ან მოეწყოს დამცავი კედელი (შპუნტური კედელი ან ხიმინჯოვანი ფარდა კონსტრუქტორთან შეთანხმებით.)

კვლევის ანალიზით დღეის მდგომარეობით არსებული მშენებარე შენობის ტექნიკური

მდგომარეობის (მდგრადობის) და წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესრულება შესაძლებელია. საკადასტრო მონაცემების მიხედვით ქვაბულის ჩაჭრისათვის ბუნებრივი ქანობით შესაძლებელია (იხილეთ კონსტრუქციული პროექტი ქვაბულის გეგმაა)

შესასრულებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

დასკვნა

ქ. თბილისი პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13 (ს/კ 01.10.06.022.011) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შენობა №7-ის მშენებლობის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე კოდებით. (ს/კ 01.10.06.022.011) კორპუსი № 6 შეთანხმების სტადია (01.10.06.022.009) კორპუსი № 7 (ს/კ 01.10.06.022.012) (ს/კ 01.10.06.022.263) (ს/კ 01.10.06.001.154) (ს/კ 01.10.06.001.144) (ს/კ 01.10.06.001.172) (ს/კ 01.10.06.001.299) მომიჯნავე გზა (ს/კ 01.10.06.022.001)ს სავარაუდო ზეგავლენასთან დაკავშირებით დადგინდა:

საპროექტო (ს.კ.01.10.06.022.011) კორპუსი № 7 მაღლივი შენობის საძირკველს წარმოადგენსრკინაბეტონის 150 და 120 სმ დიამეტრის ხიმინჯები, რომლის ძირებიც მინიმუმ 4 მეტრით ჩაანკერებულია კლდოვან ქანში – სგე 5 (ქვიშაქვებისა და არგელიტების მორიგეობა) და ნიშნულზე-6.5 მეტრი მთლიანი როსტვერკის რკინაბეტონის მონოლითური ფილა (ფილის სისქე =120.0 სმ).

აღნიშნულიდან გამომდინარე ნორმების თანახმად მშენებარე შენობის ნულოვანი ნიშნულის სამუშაოები და შემდგომი სამუშაოები არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობებზე და ცარიელი მიწის ნაკვეთებზე. და გზაზე

ქვაბულის გვერდების მდგრადობისათვის მიწის სამუშაოების უსაფრთხო

შესრულებისათვის უნდა შესრულდეს ქვაბულის ჩაჭრა ბუნებრივი ქანობით ქვაბულის

მოწყობის სათანადო პროექტის მიხედვით ან მოეწყოს დამცავი კედელი (შპუნტური

კედელი ან ხიმინჯოვანი ფარდა კონსტრუქტორთან შეთანხმებით.)

. საკადასტრო მონაცემების მიხედვით ქვაბულის ჩაჭრისათვის ბუნებრივი ქანობით შესაძლებელია (იხილეთ კონსტრუქციული პროექტი ქვაბულის გეგმაა)

ქვაბულის ჩაჭრა უნდა განხორციელდეს კონსტრუქციულ პროექტში მოცემული ქვაბულის მოწყობის სქემით .

შესასრულებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

.

.

ექსპერტი: დ.ტაბატაძე

ექსპერტის რეკომენდაცია

1. მომიჯნავე შენობებთან ხიმიჯის მოწყობის დროს განვითარებული ვიბრაცია არ უნდა აღემატებოდეს ნორმებით დასაშვებს

2. მშენებლის და დამკვეთის მიერ მუდმივი მონიტორინგი მომიჯნავე შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე

.